ხელშეკრულება №70

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

30 სექტემბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ გიორგაშვილის მოცალეობის შემსრულებლის სევერიან ქარელის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417882857) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. თანერი (საიდენთიფიკაციო კოდი 417874599) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ.ღაღანიძის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

*1. ხელშეკრულების საგანი*

1.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია: სხვადასხვა საკვები პროდუქტის შესყიდვა

2.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

*2. შესყიდვის ობიექტია:*

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15812120 | ხაჭაპური | ცალი | 16 | 4 | 64 |
| 2 | 15812120 | ლობიოს ღვეზელი | ცალი | 30 | 0,5 | 15 |
| 3 | 15812120 | კართოფილის ღვეზელი | ცალი | 30 | 0,5 | 15 |
| 4 | 15842100 | შოკოლადი | კგ | 1,37 | 11,5 | 15,755 |
| 5 | 15321000 | წვენი | ცალი | 10 | 4,3 | 43 |
| 6 | 15811100 | პური | ცალი | 20 | 0,5 | 10 |
| 7 | 15112130 | ქათამი შემწვარი | ცალი | 14 | 8 | 112 |
| 8 | 15112130 | ქათამი მოხარშული | ცალი | 2 | 13 | 26 |
| 9 | 15981200 | ნაბეღლავი | ცალი | 10 | 1 | 10 |
| 10 | 33764000 | ხელსაწმენდი | ცალი | 2 | 1 | 2 |
| 11 | 39222120 | ერთჯერადი ჭიქა | ცალი | 44 | 0,05 | 2,2 |
| 12 | 15131640 | შემწვარი კატლეტი | ცალი | 40 | 0,85 | 34 |
| 13 | 15842000 | ვაფლი | კგ | 2 | 5,2 | 10,4 |
| 14 | 15871230 | კეჩუბი | ცალი | 2 | 2 | 4 |
| 15 | 3222200 | კარალიოკი | კგ | 8,29 | 1,5 | 12,445 |
| 16 | 15842000 | კანფეტი | კგ | 2,73 | 5,2 | 14,2 |
| 17 | | | | | სრული ღირებულება | 390 |

*3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 390 (სამასოთხმოცდაათი) ლარი ყველა თანმდევი გადასახადების გათვალისწინებით.

*4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

*5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.გორი სტალინის N6

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები).

*6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

*7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღისა.

*8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია :-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: - მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია: - მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარულ დღეში.- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

*9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.03პროცენტის ოდენობით.

*10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება *2016 წლის 30 სექტემბრიდან 2016 წლის 15 ნოემბრამდე*

*11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

*13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: სევერიან ქარელი

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*15. სხვა პირობები*

15..1მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

*16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა | შ.პ.ს. თანერი |
| | ს/კ 417874599 |
| ს/კ 417882857 | მის: ქ.გორი |
| მის. ქ.გორი, მშვიდობის გამზ N12ა | ბანკი: სს "ვითიბი ბანკი" |
| ბანკი: საქართველოს ხაზინა | ა/ა GE08VT0200000417963602 |
| ა/ა ხაზინის ერთიანი ანგარიში | მიმწოდებელი: ბ.ღაღანიძე |
| დირექტორის მ.შ. სევერიან ქარელი | |

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

გორი

02 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა (საიდენტიფიკაციო კოდი 417882857) წარმოდეგენილი მისი დირექტორის ბესიკ გიორგაშვილის მოვალეობის შემსრულებლის სევერიან ქარელის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. თანერი (საიდენთიფიკაციო კოდი 417874599) წარმოდგენლი მისი დირექტორის ბ.ღაღანიძე ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 30 სექტემბერს ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიწოდებელმა" "შემსყიდველს" მიჰყიდა შემდეგი დასახელების პროდუქცია:

| № | CPV კოდი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15812120 | ხაჭაპური | ცალი | 16 | 4 | 64 |
| 2 | 15812120 | ლობიოს ღვეზელი | ცალი | 30 | 0,5 | 15 |
| 3 | 15812120 | კართოფილის ღვეზელი | ცალი | 30 | 0,5 | 15 |
| 4 | 15842100 | შოკოლადი | კგ | 1,37 | 11,5 | 15,755 |
| 5 | 15321000 | წვენი | ცალი | 10 | 4,3 | 43 |
| 6 | 15811100 | პური | ცალი | 20 | 0,5 | 10 |
| 7 | 15112130 | ქათამი შემწვარი | ცალი | 14 | 8 | 112 |
| 8 | 15112130 | ქათამი მოხარშული | ცალი | 2 | 13 | 26 |
| 9 | 15981200 | ნაბეღლავი | ცალი | 10 | 1 | 10 |
| 10 | 33764000 | ხელსაწმენდი | ცალი | 2 | 1 | 2 |
| 11 | 39222120 | ერთჯერადი ჭიქა | ცალი | 44 | 0,05 | 2,2 |
| 12 | 15131640 | შემწვარი კატლეტი | ცალი | 40 | 0,85 | 34 |
| 13 | 15842000 | ვაფლი | კგ | 2 | 5,2 | 10,4 |
| 14 | 15871230 | კეჩუბი | ცალი | 2 | 2 | 4 |
| 15 | 3222200 | კარალიოკი | კგ | 8,29 | 1,5 | 12,445 |
| 16 | 15842000 | კანფეტი | კგ | 2,73 | 5,2 | 14,2 |
| 17 | | | | | სრული ღირებულება | 390 |

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით:

შემსყიდველი

/ს.ქარელი/

მიმწოდებელი

/ბ.ღაღანიძე/